სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური საჭიროებები

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA

თბილისი

2014 წელი

შინაარსი

კვლევის მეთოდოლოგია 3

შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 6

ზოგადი ინფორმაცია 6

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა 10

სოციალური მდგომარეობა 12

ქალთა სამეწარმეო საქმიანობა 16

ქალთა ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები 26

ძირითადი მიგნებები 31

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია **საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის** მიერ, **ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID)** და **ქალთა საინფორმაციო ცენტრის (WIC)** მხარდაჭერით პროექტის **"ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის"** ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების გაერთიანებულ ანალიზს, რომელიც ასახავს ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობას და სამეწარმეო შესაძლებლობებს სოფლად შემდეგ რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, და მცხეთა-მთიანეთი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა არსებული ეკონომიკური საჭიროებები და გამოწვევები, რაც აქვთ ქალებს ბიზნესის დაწყებისა და განვითარების პროცესში სოფლად (გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით). ასევე მოხდა კრედიტებსა და საბანკო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირება.

კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის საქმიანობების უფრო ეფექტიანად დასაგეგმად და განსახორციელებლად. პროექტის ბოლოს ჩატარდება დასკვნითი კვლევა პროექტის შედეგად მიღწეული ცვლილებებისა და შედეგების შეფასების მიზნით.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები განხილულია პროექტის სამიზნე რეგიონების, მუნიციპალიტეტების ჭრილში. თუმცა მონაცემები ასახავს მხოლოდ პროექტის სამიზნე თემებს და მათ საპირწონე სოფლებს.

- **კახეთი**

✓ <u>სამიზნე თემი</u> - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი *(სოფლები: ლელიანი, ბალღოჯიანი)*, ყვარლის მუნიციპალიტეტი *(სოფელი - ბებურიანი)*;

✓ <u>საპირწონე სოფლები</u> - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი *(სოფლები: აფენი, გვიმრიანი)*;

- **იმერეთი**

✓ <u>სამიზნე თემი</u> - ჭიათურის მუნიციპალიტეტი *(სოფელი: შუქრუთი)*;

✓ <u>საპირწონე სოფლები</u> - ჭიათურის მუნიციპალიტეტი *(სოფელი: ხალიფაური)*;

- **სამცხე-ჯავახეთი**

✓ <u>სამიზნე თემი</u> - ბორჯომის მუნიციპალიტეტი *(სოფლები: ციხისჯვარი, ანდეზიტი)*; ასპინძის მუნიციპალიტეტი *(სოფელი: ტოლოში)*;

✓ <u>საპირწონე სოფლები</u> - ბორჯომის მუნიციპალიტეტი *(სოფელი: ტაძრისი)*; ასპინძის მუნიციპალიტეტი *(სოფელი: ხიზაბავრა)*;

- **მცხეთა-მთიანეთი**

✓ <u>სამიზნე თემი</u> - დუშეთის მუნიციპალიტეტი *(სოფელი: მაღაროსკარი)*;

✓ <u>საპირწონე სოფლები</u> - დუშეთის მუნიციპალიტეტი *(სოფელი: ჭართალი)*.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მონაცემების მოპოვების მიზნით, წინასწარ შემუშავებული კითხვარით, პირისპირ ინტერვიუს გამოკითხვის გზით.

ანკეტირებას დაექვემდებარნენ 16 წლისა და მეტი ასაკის რიგითი მოქალაქეები. კონფიდენციალობის დაცვისა და დაუფარავი პასუხების მიღებისათვის ინტერვიუს ჩატარების აუცილებელი პირობა იყო რესპონდენტთან პირისპირ კონტაქტი, სხვა პირის დასწრების გარეშე.

ინტერვიუები ჩაატარეს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ინტერვიუერებმა სპეციალური სტრუქტურიზებული კითხვარის მეშვეობით. პასუხების ჩანიშვნა მოხდა კითხვარშივე. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ მიღებული შედეგების შეყვანა მოხდა ელექტრონულ პროგრამაში, რომელიც შექმნილია სპეციალურად სოციოლოგიური გამოკითხვებისათვის, გამორიცხავს ტექნიკური და ლოგიკური ხასიათის შეცდომებს და უზრუნველყოფს იდეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ მონაცემთა ბაზის შექმნას. მონაცემთა ელექტრონიზაციის შემდეგ მონაცემთა დამუშავება მოხდა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 22.0.

შერჩევა

შერჩევის ჯამური ოდენობა განისაზღვრა წინასწარ და წარმოადგენდა 1500 რესპონდენტს. შერჩევა მოხდა ორდონიანი კლასტერული შერჩევით და წინასწარ განსაზღვული ასაკობრივი სტრატიფიკაციის მიხედვით. საწყის ეტაპზე მოხდა 5 რეგიონის: კახეთი, იმერეთი, სამცხე–ჯავახეთი და მცხეთა–მთიანეთი შერჩევა, შემდეგ მოხდა სოფლების შერჩევა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხი, ყვარელი, ჭიათურა, ბორჯომი, ასპინძა, დუშეთი. ხოლო ამის შემდეგ მოხდა ქალების შერჩევა ასაკობრივი კვოტების გათვალისწინებით.

- პირველ ეტაპზე შეირჩა რეგიონი;
- მეორე ეტაპზე შეირჩა სოფელი (პროექტის სამიზნე თემი და საპირწონე სოფელი);
- მესამე ეტაპზე შეირჩა ქალები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 16-19 წელი; 30-49 წელი; 50 წელს ზევით.

საპირწონე სოფლებად შეირჩა დაახლოებით პროექტის სამიზნე თემების რაოდენობის მოსახლეობის სოფელი, რომელიც ცენტრიდან დაახლოებით იმავე მანძილით არის დაშორებული.

რესპონდენტი შეირჩა 16 წელს ზევით, ქალი, წინასწარ განსაზღვრული კვოტებით სოფლებში. ოჯახიდან გამოიკითხა ერთი ქალი, მაგრამ ოჯახის ყველა წევრზე განისაზღვრა ზოგადი ინფორმაციაც.

შერჩევის შეზღუდულობიდან გამომდინარე შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი 95%-იანი სანდოობის დონით და 7%–იანი სანდოობის ინტერვალით (რაც გულისხმობს, რომ კვლევის 100-ჯერ განმეორებით ჩატარების შემთხვევაში 95%–ში იდენტურ შედეგებს მივიღებთ, სადაც გაცემული პასუხების სტატისტიკები მერყეობს 7%–ით).

ველის კონტროლი

ველის კონტროლის მეთოდისა და რაოდენობის შერჩევა მოხდა ველის კოორდინატორის, სტატისტიკოსისა და პროექტის მენეჯერის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ველის კონტროლი განხორციელდა ველის მიმდინარეობის პროცესში და ველის დასრულების შემდეგ. შემთხვევითი პრინციპით შეირჩა 5% გასაკონტროლებელი ანკეტები თითოეულ რეგიონში და სატელეფონო გზით გადამოწმდა რესპონდენტებთან: იყო თუ არა ინტერვიუერი კვლევაზე, რამდენი ხანი დასჭირდა ინტერვიუსთვის და ასევე ძირითადი საკვლევი კითხვები ხელახლა დაესვა რესპონდენტს.

თვისებრივი კვლევა

საჭიროებების კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები, თვისებრივი მონაცემების მოპოვების მიზნით. სულ განხორციელდა 5 ფოკუს ჯგუფი ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის სოფელში, ერთი ფოკუსჯფუგი პროექტის თითოეულ სამიზნე თემში. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები იყვნენ რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ადგილობრივი ქალები, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი საოჯახო სამეწარმეო საქმიანობა (სულ 50 მონაწილე). მონაწილეებმა უფრო სიღრმისეულად ისაუბრეს ეკონომიკურ საჭიროებებსა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსია (ფოკუს ჯგუფი) – არის თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის მოდერატორის მიერ წარმოდგენილი საკითხების ჯგუფურ განხილვას. მოდერატორი ხელს უწყობს საკვლევ საკითხებზე ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური მოსაზრებების გამოხატვას, ჯგუფის წევრების რეაგირებას ერთმანეთის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე და ჯგუფური განხილვის მეთოდით გამოთქმული მოსაზრებების დახვეწას.

ამ მეთოდით მოპოვებულ თვისებრივ მასალას აქვს არა მარტო დამოუკიდებელი ღირებულება, არამედ ის იძლევა კვლევის თვისებრივ ინდიკატორებს, რომელთა სტატისტიკური გაზომვა რაოდენობრივ კვლევაში, სამიზნე სეგმენტების ანალიზის საშუალებას იძლევა.

ჯგუფური დისკუსიის მეთოდი ჯგუფის მონაწილეების გამოცდილებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიკაციასა და მრავალმხრივ მისი დანახვის საშუალებას იძლევა. ჯგუფური დისკუსია საუკეთესო გარემოს ქმნის იმისათვის, რომ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფის წევრებმა გამოთქვან თავიანთი მოსაზრება და განხილვისას გამოჩნდეს პრობლემის ისეთი ასპექტები, რაც ინდივიდუალური ინტერვიუს შემთხვევაში დაფარული რჩება.

დასახული მიზნებისა და საკვლევი საკითხების გათვალისწინებით შემუშავდა მოდერატორის სახელმძღვანელო "გაიდი", რომლის მიხედვითაც ჩატარდება ფოკუს ჯგუფები.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა პროექტის სამიზნე სოფლებში, სპეციალური ტექნიკით აღჭურვილ ოთახში, სადაც რესპონდენტებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოხდა ჯგუფური დისკუსიის აუდიო ჩაწერა. საკვლევი საკითხების მოცულობიდან/თავისებურებიდან გამომდინარე თითოეული ჯგუფის ხანგრძლივობა 1-დან ან 1,5 საათით განისაზღვრა. ფოკუს ჯგუფების დასრულების შემდეგ აუდეო ჩანაწერების საშუალებით ჯგუფური დისკუსიების დეტალური ტრანსკრიპტი მომზადდა, რომლის საფუძველზეც გაკეთდა ფოკუს ჯგუფების ანალიზი.

<u>რესპონდენტთა რეკრუტირება</u>

მონაწილეთა შერჩევა და ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დაპატიჟება მოხდა წინასწარ - რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად. რესპონდენტების რეკრუტირების დროს გათვალისწინებული იქნა ჯგუფის პოტენციური მონაწილის პიროვნული თავისებურებები: აქტიურობა, კომუნიკაციის უნარი და ა.შ.

შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

ზოგადი ინფორმაცია

გამოკვლეული თემების შინამეურნეობები საშუალოდ 3,7 წევრიანი ოჯახებისაგან შედგება. დუშეთში, ჭიათურასა და ასპინძაში ყველაზე დიდი წონა 2-3 წევრიან ოჯახებზე მოდის, ხოლო დანარჩენ ერთეულებში შინამეურნეობების უმეტესობა 4-5 წევრიანია.

დიაგრამა# 1: ოჯახის წევრების რაოდენობის სტრტუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით



სულ, შესაწვლილ 1500 ოჯახში 5431 პირი ცხოვრობს, მათი 53% ქალია, დანარჩენი კი - კაცი. ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მონაცემები თითქმის არ განსხვავდება და ყველგან ქალთა რაოდენობა მეტია მამაკაცებისაზე. ასევე, თითქმის მსგავსია ბავშვთა წილი, შესწავლილ შინამეურნეობებში მცხოვრებ პირთა საშუალოდ 20% ბავშვია.

დიაგრამა#2: შინამეურნეობების სტრუქტურა სქესობრივ ჭრილში



აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობებში პირთა საშუალოდ 41% 50 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება, ყველაზე ნაკლები - 27% კი 15-დან - 29 წლამდე მოსახლეობაზე მოდის. აღნიშნული თანაფარდობა მცირედით განსხვავდება თემების მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანი ტენდენცია სქესობრივ ჭრილში არ გამოვლენილა.

ცხრილი#1: შესწავლილი შინამეურნეობების ასაკობრივი სტრუქტურა სქესობრივ ჭრილში

	ასაკობრივი ჯგუფი	ლაგოდეხი	ყვარელი	დუშეთი	ჭიათურა	ბორჯომი	ასპინძა
ქალი	15-29	27%	29%	23%	22%	26%	29%
	30-49	31%	30%	33%	32%	33%	27%
	50– ზევით	42%	41%	44%	46%	41%	43%
კაცი	15-29	29%	32%	24%	23%	28%	31%
	30-49	33%	30%	40%	31%	34%	33%
	50– ზევით	39%	38%	36%	45%	39%	35%

გამოკვლეული მოსახლეობის 4% შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია; პენსიონერთა წილი კი 12%-ია; მიზნობრივ თემებში ეროვნული უმცირესობები თითქმის არ გვხვდება, გამონაკლისია ბორჯომი, სადაც შინამეურნეობებში მცხოვრებ პირთა 24% ეთნიკურად ბერძენი, რუსი ანდა სომეხია.

საინტერესოა, რომ შესწავლილი მოსახლეობის 40%-ს მიღებული აქვს სრული საშუალო განათლება, 17%-ს - უმაღლესი განათლება, ხოლო ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა 15%-მა. აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების მწვავე საჭიროებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ეკონომიკური შესაძლებლობების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

რესპონდენტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სულ შესწავლილ შინამეურნეობებში დაქირავებით დასაქმებულია 844 პირი. საგულისხმოა, რომ უმეტეს ერთეულებში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა მეტია მამაკაცებისაზე, ერთადართი მნიშვნელოვანი სხვაობაა ჭიათურაში. აღნიშნულ თემში უმეტესად მამაკაცები არიან დასაქმებულები (63%) და ისინი ძირითადად მაღაროებში მუშაობენ.

ცხრილი#2: შესწავლილ შინამეურნეობებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა

	ლაგოდეხი	ყვარელი	დუშეთი	ჭიათურა	ბორჯომი	ასპინძა
სულ, ოჯახის წევრების რაოდენობა	1136	260	718	1007	1401	909
სულ, დასაქმებული პირები	110	22	198	202	144	168
მათ შორის						
ქალი %	52	64	54	37	50	45
კაცი %	48	36	46	63	50	55

ამასთან, საინტერესოა, რომ გამოკითხული რესპონდენტების 67%-მა კითხვაზე გაქვთ თუ არა სურვილი დასაქმდეთ დადებითი პასუხი გასცა, ხოლო შესაბამისად 33%-ს კი არ სურს მუშაობის დაწყება. ისინი, ვინც მზად არიან შეასრულონ რაიმე ტიპის სამუშაო თანახმანი არიან ისეთ სამსახურებზე, როგორებიცაა: საოფისე სამუშაო (27%); აღმზრდელი (24%); ნებისმიერი ფიზიკური სამუშაო (22%); დამლაგებელი (21%) და ა.შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტები სასურველი სამუშაო ადგილის დასახელებისას ეყრდნობიან, ერთის მხრივ, საკუთარ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას და, მეორეს მხრივ, იმყოფებიან ტრადიციული მენტალიტეტის გავლენის ქვეშ, თუ რა ტიპის სამუშაო შეიძლება შეასრულოს ქალმა. მაგალითად, რესპონდენტების მხოლოდ 0,5% არის თანახმა, რომ იმუშაოს მიმტანად.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალების უმრავლესობა თვლის, რომ დასაქმების მხრივ ხელისშემშლელი ფაქტორები ქალისთვის არის სამუშაო ადგილების არარსებობა სოფლად. ქალებს ან არ აქვთ ან/და პირიქით სამსახურის პოვნის დიდი სურვილი აქვთ. ერთადერთი რაც შეიძლება ხელისშემშლელ ფაქტორად განიხილონ ქალისთვის არის პატარა ბავშვის ყოლა, რომელსაც ვერ ტოვებს ოჯახის სხვა წევრებთან და იძულებულია მის გაზრდამდე სახლში იყოს. "სოფელში დასაქმებულები არიან მხოლოდ მასწავლებლები და სხვა სამუშაო ადგილები არ იქმნება ქალისთვის". აცხადებს ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილე სოფელ მაღაროსკარიდან.

სოფელ ტოლოშის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს სამსახურის ძებნაზე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ, ასაკიან ქალებს არ სურთ სამსახურის დაწყება და არ აქვთ სურვილი დაქირავებით მუშაობის, ჯანმრთელობა აღარ უწყობთ ხელს. ახალგაზრდებს და შუა ხნის ასაკის ქალებს კი პირიქით - უცდიათ შემდეგი პროფესიით სამსახურის შოვნა: მაღაზიაში გამყიდველად, სკოლის მასწავლებლად, ხალხური სიმღერის მასწავლებლად და კოსმეტოლოგად. სამსახურს ეძებენ, რადგან არ გააჩნიათ საკმარისი შემოსავალი. დროის განაწილება საოჯახო და სამსახურის საქმეებზე შეუძლიათ. "სამსახური იყოს და მაგის დროს როგორ ვერ გამოვნახავთ". "ვაკანსიები არ არის, თორემ ნებისმიერ სამსახურს დავთანხმდებოდით."

"არის ოჯახი, სადაც ქალს ჰყავს პატარა ბავშვები და უბრალოდ ვერ ახერხებს მუშაობას. ან კიდევ ავადმყოფი ჰყავს სახლში და მარტო ვერ ტოვებს, რა თქმა უნდა ეს ხელისშემშლელი ფაქტორია სამსახურის პოვნისთვის."

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასაქმების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, პირველი პრიორიტეტი რეალური სამუშაო ადგილების ფორმირების ხელშეწყობაა, რაც სოფლად განსაკუთრებით რთული ამოცანაა. თუმცა ქალთა დასაქმებას სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გარეშე პერსპექტივები თითქმის არ გააჩნია. ამ მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გაწიონ დამატებითი ძალისხმევა, რათა სოფლის მოსახლეობისათვის შვილების საბავშვო ბაღებში მიყვანის შესაძლებლობა რეალობად აქციონ.

შესწავლილი ოჯახები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსგან მიღებულ დახმარებებსა თუ პენსიებზე. ბენეფიციართა ყველაზე დიდი რაოდენობა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამას ჰყავს. შინამეურნეობების საშუალოდ 22% იღებს ფულად დახმრებას-საარსებო შემწეობას. ასევე, ოჯახების 48%-ში არის ერთი პენსიონერი მაინც.

დიაგრამა #3: სახელმწიფო დახმარებები და პენსიები მუნიციპალიტეტების მიხედვით



კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ასევე შესწავლილ იქნა, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულები რესპონდენტები საზოგადოებრივ საქმიანობაში. კითხვაზე, ესწრებით/ ესწრებოდით თუ არა თქვენ სხვადასხვა მხარეების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს, 801 პირმა (53.4%) დადებითი პასუხი გასცა.

დიაგრამა #4 : მონაწილეობა შეხვედრებში ორგანიზაციის ტიპების მიხედვით (%)



რესპონდენტთა ნახევარზე მეტს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა რაიმე ტიპის საჯარო შეხვედრაში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ასპინძა, ჭიათურა და ყვარელი. ყველაზე დიდი წილი მოდის ადგილობრივი თვითმმართელობის ორგანოების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, მას მოსდევს არასამთავრობო სექტორის მიერ ჩატარებული ღონისძიებები. ჭიათურასა და ასპინძაში რესპონდენტების 75% და 68% შესაბამისად ერთხელ მაინც დასწრებია ადგილობრივი თვითმმართველობის შეხვედრას.

რესპონდენტების მხოლოდ 8,4%-მა დაადასტურა, რომ მათ აქვთ სხვადასხვა ტიპის ურთიერთობა არასამთავრობო სექტორთან. საშუალოზე ოდნავ მეტი შედეგი აჩვენა ლაგოდეხის (14%), ყვარლის (10%), ასპინძის (10%) თემებმა. თუმცა, ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასამთავრობო სექტორი სოფლებში საკმაოდ პასიურად მუშაობს და ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას კრიტიკური მნიშვნელობა აქვს.

მისასალმებელია უშუალოდ თვითმმართველი ორგანოების მხრიდან ინიცირებული შეხვედრები და განხილვები, თუმცა კიდევ არის ასეთი ტიპის ჩართულობის გაძლიერების და ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობები. ამასთან, მიღებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ აუცილებელია არასამთავრობო სექტორის მუშაობის გაძლიერება სოფლად. გასაგებია, რომ სხვადასხვა პროექტების განხორციელების დროს ბევრად ადვილია ქალაქად და მჭიდროდ დასახლებულ ლოკაციებზე მუშაობა, სადაც ბენეფიციართა დიდი რაოდენობის მოცვაა შესაძლებელი. თუმცა ყველაზე მეტი ხელშეწყობა სწორედ რომ სოფლად მხოვრებ პირებს სჭირდებათ, რამდენადაც მათ ნაკლებად აქვთ შესაძლებლებლობა სულ ცოტა ოპერატიულად მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ინიციატივების შესახებ.

რაც შეეხება ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის მიღების წყაროებს, ტელევიზიას დომინანტი როლი აქვს. რესპონდენტთა 98%, აბსოლუტური უმრავლესობა, ინფორმაციას სწორედ ტელევიზიიდან იღებს, 31% - ასევე ეცნობა პრესას, 30% კი სოფლის კრებებზე იგებს საჭირო ამბებს.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა

გამოკითხული რესპოტენტების 11%-ს საერთოდ არ დაუმუშავებია მიწა გასულ წელს. საგულისხმოა, რომ ბორჯომსა და ჭიათურაში აღნიშნული მაჩვენებელი აღწევს 17%-ს და 15%-ს შესაბამისად. აღნიშნული ტერიტორიები საკმაოდ მცირე მიწიანია და არსებული მიწაც ნაკლებ ნაყოფიერი.

დიაგრამა#5: მიწის დამუშავების მაჩვენებელი მუნიციპალიტეტების მიხედვით



რაც შეეხება იმ შინამეურნეობებს, რომლებმაც ასე თუ ისე მოახერხეს მიწის დამუშავება, საკვლევი ლოკაციების მიხედვით სურათი განსხვავებულია. ყვარელსა და ლაგოდეხში მოსახლეობის 62%-მა და 50%-მა 1 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი დაამუშავა, მაშინ როდესაც სხვა თემებში ძირითადი წონა 0,5 ჰექტრამდე მიწის ფართობზე მოდის. ამის ახსნა, პირველ რიგში, რეალური გეოგრაფიული პირობებით შეიძლება.

,,ჩვენს სოფელში მიწა არის ძალიან უნაყოფო, ამიტომ აქ მიწის დამუშავება და მისგან შემოსავლის მიღება არ ხდება, რადგან მოსავალი არ მოდის. ამიტომ ჩვენი სოფლის ოჯახებისთვის ერთადერთი შემოსავალი არის მესაქონლეობა, ჩვენც მივდევთ მესაქონლეობას და ასევე მეფუტკრეობას. ძალიან ბევრ ოჯახს ჰყავს ფუტკარი." - ამბობს სოფელ შუქრუთის ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

„სტიქია იყო ჩვენთან და მე და ჩემი მეზობელი დავზარალდით. რაც გაგვაჩნდა ისიც წყალმა წაიღო და რა უნდა მოვიყვანო რომ გავყიდო, არ გამაჩნია მიწა იმდენი რომ მოვიყვანო და შემდგომ რეალიზაცია გავუწიო ამ პროდუქციას. სოფელში თითქმის არ არის ისეთი ოჯახი, რომელსაც იმხელა მიწა ჰქონდეს, რომ დიდ შემოსავალს ნახულობდეს". - აცხადებს სოფელ მაღაროსკარის ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

დიაგრამა#6: დამუშავებული მიწების ფართობები



ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით სოფელ ტოლოშში ქალები შემოსავლის მიღების მიზნით მუშაობენ დაქირავებით სხვის მიწაზე და 45 კილომეტრით დაშორებულ ახალქალაქის სოფლებში ჩადიან და ამუშავებენ მიწას. ქალები კარტოფილს თხრიან მიწიდან, ხოლო კაცებს გამოაქვთ ეს კარტოფილი სატვირთო ავტომობილებამდე. „სოფელს ძალიან უჭირს და ამის გამო თანხმდებიან და მუშაობენ სხვის მიწაზე ფულის გამო." - ამბობს ერთ-ერთი მონაწილე.

სოფელ ლელიანის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, სახელმწიფომ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ ყურადღება უნდა მიაქციონ მიწების დამუშავების საკითხს. მონაწილეების თქმით - „მიწები გაჯერებულია პოლიეთილენით და ნარჩენებით, შესაბამისად რამოდენიმე წელიწადში შესაძლებელია, რომ მიწა გახდეს საერთოდ უნაყოფო ან მასზე მოყვანილი პროდუქტი მავნე იყოს ჯანმრთელობისთვის". "აქვე აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწების იჯარით გაცემის პროცედურები გამარტივებულ იქნას, იმიტომ, რომ მოსახლეობას ხშირად ექმნება ამის გამო პრობლემები".

შესაბამისად, აუცილებელია ნაკლებმიწიან თემებში ისეთი ეკონომიკური მიმართულებების განვითარების ხელშეყობა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობასა და ნაყოფიერებასთან. აქვე მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიების დამატებითი შესწავლა და ანალიზი, რათა გამოვლინდეს მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური და ქმედითი პერსპექტივები. ამასთან, ეფექტიანი იქნება მოსახლეობის დამატებით ინფორმირება მიწის იჯარით აღების პროცედურების შესახებ და მათი მხარდაჭერა აღნიშნულ პროცესში. ამ გზით სოფლის ოჯახებს საშუალება მიეცემათ დაამუშაონ მიწის მეტი ფართობი და შესაბამისად მიიღონ მეტი შემოსავალი.

სოციალური მდგომარეობა

სოციალური ფონი ქვეყანაში არასახარბიელოა. განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის რთულია ფინანსური შემოსავლების მიღება და სათანადო ცხოვრების დონის უზრუნველყოფა. ამასთან, ოჯახები ცდილობენ რა ელემენტარული საარსებო საშუალებების მოძიებას, ვერ ახერხებენ რაიმე ტიპის სამეწარმეო საქმიანობის ინიცირებას, რასაც სჭირდება როგორც თუნდაც ელემენტარული საინვესტიციო ხარჯი, ასევე ყველაზე წარმატებული ბიზნესინიციატივისათვის კი დრო, რათა მიიღოს უკუგება.

შესაბამისად, გარკეულწილად ჩაკეტილ წრესთან გვაქვს საქმე. ოჯახებს თუ არ ექნებათ საარსებო საშუალებები ისინი ვერ შეძლებენ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას და მეორეს მხრივ, თუ არ გააქტიურდებიან მუდამ დამოკიდებულები იქნებიან სოციალურ შემწეობებსა და პენსიებზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი ოჯახების 50%-სათვის შემოსავლის ძირითად წყაროს პენსია წარმოადგნეს, 22% იღებს ფულად სოციალურ შემწეობას, 48% ყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მცირე ბიზნესიდან შემოსავალს კი მხოლოდ 10% ღებულობს.

დიაგრამა #7: ოჯახების შემოსავლის წაყაროები (%)



ისევე როგორც მიწის სავარგულების შემთხვევაში, განსხვავებულია სურათი შემოსავლის ისეთი წყაროების მიხედვით, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებთან. ლაგოდეხსა და ყვარელში შესწავლილ თემებში რესპონდენტების 90%-ზე მეტი ყიდის სასოფლო-სამეურნეო

პროდუქციას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ამ ლოკაციებზე ძირითადად 1ჰა-ზე მეტი ფართობი მიწა დაამუშავეს. ასპინძაში კი რესპონდენტების 92% ყიდის შინაურ ცხოველებს, ფრინველებს ანდა რძის პროდუქტებს. რაც შეეხება დანარჩენ ლოკაციებს, აქ ასეთი სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლებს მხოლოდ რესპონდენტთა საშუალოდ 16% იღებს.

მაღაროსკარის თემში, ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით ოჯახებისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, კერძოდ: ქათამი, ძროხა, ფუტკარი და მათი პროდუქტები, ასევე ღორი. სხვა შემოსავალია სკოლის მასწავლებლის ხელფასი, ოჯახის წევრის პენსია (მ.შ. უნარშეზღუდულობის) და ხელსაქმე (ქსოვა).

„ჩვენი ოჯახის შემოსავლის წყარო არის ჩემი და ჩემი მეუღლის პენსია, შვილი მუშაობს ჯეიჰანის ნავთობსადენის მაგისტრალზე. ასევე გვყავს საქონელი, წარმოებული ნაწარმიდან, ნაწილს ვყიდი ბაზარზე, რათა შევიძინო საჭირო პროდუქცია ოჯახისთვის, ხოლო ნაწილს საკუთარი მოხმარებისთვის ვიყენებ ოჯახში." - ამბობს სოფელ ციხისჯვარის ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

ტოლოშის ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, თემში ქალები ძირითადად დასაქმებული არიან სოფლის მეუნეობაში. მოჰყავთ და ყიდიან კარტოფილს, ლობიოს, კიტრს, პომიდორს, ბადრიჯანს და სხვა ერთწლიან კულტურებს. მათ ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ამზადებენ ყველს და შემდეგ ყიდიან უახლოეს ბაზარში. ადგილზე ძირითად დამსაქმებელს წარმოადგენს სკოლა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. ოჯახის შემოსავლის წყაროს ასევე წარმოადგენს ასაკობრივი პენსია და სახელმწიფო სოციალური შემწეობა.

დიაგრამა #8: ეკონომიკური აქტივობის შედეგად მიღებული შემოსავლის წყაროები მუნიციპალიტეტის მიხედვით (%)



შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოებიდან შემოსავლის მიღება პირდაპირ დამოკიდებულია ხელმისაწვდომი სავარგულების რაოდენობასა და

ნაყოფირებაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესის განვითარების საჭიროება ყველა ლოკაციისათვის ერთნაირად მწვავეა. იმ თემებში, სადაც ხდება პირველადი წარმოების შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზაცია, გადამამუშავებელი მიმართულებების გაძლიერება და გასაღების ბაზრებზე წვდომის გაზრდა შესაძლებელს გახდის შინამეურნეობებისათვის სულ ცოტა შემოსავლების გაორმაგებას. ხოლო დანარჩენი თემებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესის განვითარებას არასასოფლო-სამეურეო მიმართულებებით, მათ შორის შეიძლება იყოს: მომსახურების სხვადასხვა სფეროები - ვაჭრობა, ტურიზმი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა როგორებიცაა მინერალური წყლები, ტყით სარგებლობა, სამონადირეო მეურნეობები, სახალხო რეწვა და ა.შ.

ლელიანის თემში ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, ოჯახებისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, კერძოდ: ყველა ტიპის ბოსტნეულის წარმოება, ქათამი, ძროხა, ვენახი. ასევე სოფელში არის საცალო ვაჭრობის ობიექტები და საცხობიც. ასევე, ოჯახის შემოსავალი არის პენსია და სოციალური ფულადი დახმარება.

ოჯახების სოციალური მდგომარეობას ასევე ასახავს მათი ხარჯების სტრუქტურა. რესპონდენტების ინფორმაციით გაწეული ხარჯების 40% საკვებ პროდუქტებზე მოდის, მედიკამენტების შეძენაზე 15%, ვალის დაბრუნებაზე - 14%.

დიაგრამა #9: შინამეურნეობების მიერ გაწეული ხარჯების სტრუქტურა



შუქრუთის ფოკუს ჯგუფის მონაწილის თქმით, მიღებული შემოსავლის ხარჯვაზე ოჯახში ძირითადად პასუხისმგებელია ქალი. ქალმა უკეთ იცის რა სჭირდება ოჯახს და ბავშვებს. „ყველაზე ხშირად ოჯახში საკვებს ვყიდულობთ და ყველაზე მეტი მაინც ჭამაზე გვეხარჯება. ბავშვსაც ძალიან ბევრი რამ სჭირდება." - ამბობს შუქრუთის ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების დადგენისათვის მდგომარეობის შეფასება ეთხოვათ უშუალოდ რესპონდენტებსაც და ასევე ინტერვიურებმა წინასწარ განსაზღვრული შკალით მოახდინეს ოჯახების რანჟირება. რესპონდენტთა თვითშეფასებით მატერიალურ

უზრუნველყოფას ახერხებს მათი უმეტესობა (საშუალოდ ყველა ლოკაციისათვის-53%); გაჭირვებით - 33%.

დიაგრამა #10: მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასება



ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების შეფასება ინტერვიურებმა მოახდინეს პირადი შთაბეჭდილებით, რომელიც მათ მიიღეს ოჯახში სტუმრობისას. ბუნებრივია, აღნიშნული შეფასებები გარკვეულწილად სუბიექტურია, თუმცა მეტ-ნაკლებად ასახავს შინამეურნეობების რეალურ მდგომარეობას. საგულისხმოა, რომ საყოფაცხოვრებო პირობების ყველაზე ცუდი შეფასება ჭიათურაში, ბორჯომსა და ასპინძაში გამოვნილდა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა დუშეთსა და ლაგოდეხში. ბუნებრივია, საყოფაცხოვრებო პირობები პირდაპირ დაკავშირებულია ოჯახის შემოსავლებთან. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მხოლოდ იმ შემთხვავაში იქნება შესაძლებლი თუ მათ გაუჩნდებათ ელემენტარული დანაზოგების გაკეთების შესაძლებლობა, მას შემდეგ რაც გაწევენ აუცილებელ ხარჯებს კვებაზე, მედიკამენტებზე და ა.შ. ამდენად, ოჯახების შემოსავლების ზრდა ერთადერთი გზაა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

დიაგრამა #11: ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები - ინტერვიუერის შეფასება



ინტერვიუერის შეფასებით შესწავლილი ოჯახების 30% შეფასდა როგორც „ღარიბი / მეტნაკლებად იკმაყოფილებს შიმშილს", ყველაზე დიდი წონა 48% კი მიიღო შეფასებამ - „საშუალო შემლების / იკმაყოფილებს შიმშილს".

დიაგრამა #12: ოჯახის სოციალური პირობები - ინტერვიუერის შეფასება



ნათელია, რომ შესწავლილი ოჯახების აბსოლუტური უმეტესობა ელემენტარული საარსებო უზრუნველყოფის საჭიროების წინაშე დგას. მათი ძირითადი გამოწვევა ოჯახის გამოკვება და ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. შესაბამისად, განსაკუთრებულად აქტუალურია სოფლად, ერთის მხრივ, ძლიერი სოციალური პროგრამების ამოქმედება და, მეორეს მხრივ, სამეწარმეო საქმიანობის (განსაკუთრებით მიკრო და მცირე ბიზნესის) დაწყებისა და განვითარების ხელშეყობა.

ქალთა სამეწარმეო საქმიანობა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა ქალთა სამეწარმეო გამოცდილება, მათი შესაძლებლობები, დამოკიდებულებები და სურვილები ბიზნესსექტორში ჩართულობის მიმართულებით.

კვლევის მიზნებისთვის სამეწარმეო საქმიანობად სოფლის დონეზე განიხილება ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც შინამეურნოების ნებისმიერი წევრი ეწევა შემოსავლების მიღების მიზნით. ოჯახები ლაგოდეხში, ყვარელსა და ასპინძაში შემოსავალს იღებენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან - მიწათმოქმედება, მეცხოველეობა/მეფრინველეობა, რძის პროდუქტების წარმოება. საკუთარი მცირე ბიზნესი - მაღაზია, სახელოსნო, სამკრეველო აქვს რესპონდენტების მხოლოდ 10%-ს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მეთევზეობა შეიძლება იყოს საკმაოდ პერსპექტიული მიმართულება, თუმცა კვლევის შედეგად გამოვლინდა ასეთი საქმნიანობის მხოლოდ 18 შემთხვევა, მათგან დუშეთში 6 ოჯახი ეწევა თევზის მოშენებას, ლაგოდეხსა და ბორჯომში კი - ოთხ-ოთხი.

დიაგრამა #13: ძირითადი საქმიანობები, რომლებსაც ეწევა ოჯახი შემოსავლის მიღების მიზნით (%)



რაც შეეხება ჭიათურას, დუშეთსა და ბორჯომს, აქ საკმაოდ მცირე დოზით ეწევიან რაიმე ტიპის სამეურნეო საქმიანობას.

უკვე არსებული გამოცდილება შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული ბაზისი სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის და მოხდეს ისეთი ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ან განავითარებენ არსებულ მეურნეობებს, ან მათი დაბალეფექტიანობის შემთხვევაში, ხელს შეუწყობენ შინამეურნეობებს მოახდინონ ეკონომიკურად უფრო ეფექტიანი მიმართულებების იდენტიფიკაცია და განხორცილება.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი სამეწარმეო მიმართულებები, რომლებშიც ქალები არიან ჩართულნი და რიგ შემთხვევაში საკმაოდ წარმატებულებიც არიან. თემების მიხედვით სურათი ასეთია:

ლელიანის ფოკუს ჯგუფი:

ოჯახის სამეწარმეო საქმიანობაში ჩართული არის ყველა, მათ შორის ბავშვებიც. როლები თანაბრადაა გადანაწილებული ამ საქმიანობაში. „ოჯახში საქმიანობები გადანაწილებულია თნაბრად, საქმეს აკეთებს ქალიც, კაციც. მაგრამ ქალის საქმე უფრო მეტია.”

„იქიდან გამომდინარე, რომ კახეთის რეგიონში ნიადაგი არის ნოყიერი და შესაბამისად მოსავალი უხვადაა, თუ რა თქმა უნდა სეტყვამ არ შეგვიშალა ხელი, მოგვყავს ძალიან ბევრი ბოსტნეული, ხილი, რომლის რეალიზაციაზე პასუხისმგებელია ოჯახში ქალი.”

როგორც ლელიანში მონაწილეებმა აღნიშნეს ყველაზე დიდი დაბრკოლება ქალისთვის არის ოჯახი, იმიტომ რომ მამაკაცია ოჯახის უფროსი და გადაწყვეტილების მიმღები. შესაბამისად, თუ ქალი გადაწყვეტს, რომ დაიწყოს ბიზნესი, ამისათვის აუცილებლად სჭირდება ოჯახის თანხმობა და მხარდაჭერა. მათი თქმით მამაკაცები ზოგადად არ არიან რისკიანები. თუმცა მონაწილეების აზრით, თუ ქალი არის რისკიანი, მიზანდასახული და პრინციპული ყველაფერს გააკეთებს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისათვის.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამბობენ სოფელ ლელიანში მცხოვრები ქალები ძალიან აქტიურები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში მოჰყავთ სხვადასხვა სახის ბოსტნეული, ჰყავთ ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აქვთ ვენახები, სადაც მოჰყავთ ტონობით ყურძენი.

ლელიანში ქალებს გახსნილი აქვთ საცხობები და საკონდიტროები, რაც საკმაოდ შემოსავლიანია მათთვის. ქალებს ასევე აქვთ ჯიხურები, სადაც ყიდიან სასურსათო პროდუქციას. „მე ვაცხობ ტორტებს და ნამცხვრებს და სულ მყავს კლიენტები. ვთვლი, რომ ძალიან კარგი გამომდის და საკმაოდ შემოსავლიანი საქმეა".

ტოლოშის ფოკუს ჯგუფი:

„ქალის საქმე არის სახლის საქმეები, ძროხის მოწველა, ბოსტნის დათესვა და მოვლა. ასევე, ქალები აკეთებენ „კაცის" საქმეს, როგორიც არის მოთიბვა."

კაცის საქმედ დასახელდა შეშის მოტანა, თივის მოწესრიგება, ნაკელის გატანა ბოსტანში, მოხვნა და სხვა საქმიანობები, რომელიც უფრო მეტ ფიზიკურ ძალას მოითხოვს. სამეწარმეო საქმიანობაში ქალები აქტიურობენ და დახლოებით საქმის 80%–ს აკეთებენ.

მაღაროსკარის ფოკუს ჯგუფი:

სოფელში მეწარმეობრივ შესაძლებლობაში ძირითადად მოიაზრებენ სოფლის მეურნეობას, თუმცა მიწების სიმცირის გამო და გასაღების ბაზრების ნაკლებობის გამო ამ მიმართულებასაც დიდად შემოსავლიანად არ მიიჩნევენ.

„გეოგრაფიული მდგომარეობა არ უწყობს ხელს მოსახლობას რაიმე მოიყვანოს მიწაზე და რეალიზაცია გაუკეთონ".

ციხისჯვარის ფოკუს ჯგუფი:

ანდეზიტისა და ციხისჯვრის თემში ქალები ძირითადად დასაქმებული არიან სოფლის მეუნეობაში და მათი შემოსავლის წყარო არის მესაქონლეობით და ვაჭრობით მიღებული შემოსავალი. მათ ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ამზადებენ ყველს და შემდეგ ყიდიან უახლოეს ბაზარში. მიღებული შემოსავლის ხარჯვა შეთანხმებულია ოჯახში. „სამეწარმეო საქმიანობაში ქალები უფრო ვაქტიურობთ და თითქმის ყველაფერს ჩვენ ვაკეთებთ. ვაწარმოებთ ყველს, მაწონს და ვყიდით ბაზარზე". „პროდუქტების გაყიდვებზე პასუხისმგებელია ქალი, ხოლო გასაყიდი რაოდენობა ოჯახთან არის შეთანხმებული."

შუქრუთის ფოკუს ჯგუფი:

სოფელ შუქრუთში მცხოვრები ქალების ძირითადი საქმიანობა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, არის მესაქონლეობა და მეფუტკრეობა, საიდანაც ისინი იღებენ შემოსავალს.

„ჩვენთან მიწები უვარგისია და ჩვენი ოჯახისთვისაც არ კმარა ის, რაც მოგვყავს. მოსავალი ხშირად გვიფუჭდება. ამიტომ ძირითადად გვყავს საქონელი ან ფრინველი." „ვაწარმოებთ რძის პროდუქტებს და იმასაც ცოტას, მხოლოდ ოჯახის მოსახმარად არის საკმარისი. იშვითად თუ ახერხებს ოჯახი რამის გაყიდვას ბაზარზე".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების ჯამურად მხოლოდ 12%-ს ჰქონია შესაძლებლობა საოჯახო ბიზნესის ფარგლებში ესარგებლა რომელიმე მხარდამჭერი პროგრამით (იგულისხმება გრანტი, შეღავათიანი სესხი და ა.შ). აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ საკმაოდ შეზღუდულია როგორც მსგავსი ტიპის პროგრამების რაოდენობა და მათზე ხელმისაწვდომობა, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობა და სავარაუდოდ მოტივაციაც ჩაერთონ და გახდნენ ინიციატივების ბენეფიციარები.

სოფლად მცხოვრები ქალების დამოკიდებულებას და მოტივაციას ჩაერთონ სამეწარმეო საქმიანობაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია. საკუთრი ან ახლობლის გამოცდილება და ამა თუ იმ პროცესების აღქმა. კითხვაზე, ზოგადად ქალი მეწარმისათვის ხელმისაწვდომია თუ არა სესხის გამოტანა ბანკიდან ანდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან, რესპონდენტების 56%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 26%-ის (393 რესპონდენტი) აზრით ქალი მეწარმისათვის სესხის აღება არაა ხელმისაწვდომი.

დიაგრამა #14: სესხზე ხელმისაწვდომობა ქალი მეწარმისთვის



რესპონდენტებმა, რომლებიც მიიჩნევენ რომ ქალისათვის სესხის აღება არაა ხელმისაწვდომი, დაასახელეს ამის ძირითადი მიზეზები: არ აქვს შემოსავლის სათანადო წყაროები - 65%; არ აქვს საკუთრებაში ქონება (სახლი, მიწის ფართობი, და ა.შ) - 38%; სესხის ვერ დაფარვის რისკი - 49%. საგულისხმოა, რომ მხოლოდ მხოლოდ 7 რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მიზეზი შეიძლება იყოს სუბიექტური შეფასება სესხის ოფიცრის მხრიდან.

რესპონდენტების ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილების შესწავლის მიზნით დადგინდა, რომ მათ 28%-ს საერთოდ არ მიუმართავს საფინანსო ორგანიზაციისათვის სესხის მისაღებად (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის სესხი, მათ შორის სამომხმარებლო); 18%-მა მიმართა და ვერ მიიღო, ხოლო შესაბამისად 54%-მა გამოიტანა სესხი. საინტერესოა, რომ ყვარელსა და ლაგოდეხში სესხის მიღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (საშუალოდ 79%).

დიაგრამა #15: სესხის მიღება ბანკიდან ანდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან



ლელიანის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ სესხის აღება დიდი რისკის გამო არ ღირს. მათ უმრავლესობას სესხი ჰქონია და მეორედ აღარ უცდია აღება. შეღავათიანი სესხის აღებასაც ვერ რისკავენ. მათი აზრით სქესს არ აქვს მნიშვნელობა სესხის აღებისას, მთავარია შემოსავალი ჰქონდეთ.

„სესხის აღება ძალიან მარტივია, მაგრამ მგონია, რომ არ მომცემენ რადგან პენსიონერი ვარ." „სესხი შვილის სახელზე გავაკეთე, რადგან მე არ დამიმტკიცეს, რადგან შემოსავლი არ მქონდა".

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, ყველაზე დიდ დაბრკოლებად ქალებისთვის ბიზნესის დასაწყებად დასახელდა ფინანსების სიმწირე. „ბანკში მაღალია პროცენტი სესხზე და ასევე მაღალია გადასახადები."

„კი მე ვსარგებლობ სესხით, რადგან ეს ბოსტნეული იმდენი ჯდება, რომ საკუთარი სახსრებით ვერ მოგვყავს და ამიტომ მივმართავთ ხოლმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. ხოლო რაც შეეხება საგრანტო კონკურსები რომ ტარდება ვიცი, მაგრამ მე პირადად არასდროს არ მიმიღია მონაწილეობა. რაც შეეხება იაფ აგრო სესხებს, მაქვს ინფორმაცია, მაგრამ არ მიცდია, რომ ამეღო".

„დიახ, მე მაქვს აგრო სესხი აღებული, სიმინდი, გვარჯილა და ასეთი პროდუქცია რომ მოვიყვანოთ, ბანკიდან გვაქვს სესხი აღებული".

„კი, აღებული მაქვს სესხი მიკროსაფინანსოდან „კრედო", ასევე მიკროსაფინანსოდან „ფინკა". მიკროსაფინანსოდან იმიტომ გამოვიტანე, რომ ისინი უფრო აფინანსებენ, ვიდრე ბანკები და ამიტომ ვირჩევთ ხოლმე მიკროსაფინანსოებს".

სულ გამოკვლეულ შინამეურნეობებში 267-მა პირმა (18%) მიმართა ბანკს ანდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და არ დაუმტკიცდათ სესხი. საინტერესოა მათი აღქმა და დამოკიდებულება თუ რატომ მოხდა ასე. სესხის ვერ აღების მიზეზად 37%-მა დაასახელა ის ფაქტი, რომ მათ არ გააჩნდათ საკუთრებაში ქონება, 22%-მა კი ვერ აჩვენა შემოსავლის წყარო, ხოლო 31%-ის აზრით ამის ძირითადი მიზეზი სესხის ოფიცრის მხრიდან სუბიექტური შეფასება იყო.

ლელიანის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით სესხის გამოსატანად საჭიროა ოჯახის იმ წევრის თანხმობა და თავდები ვის სახელზეც არის ქონება რეგისტრირებული, ასეთი კი უმეტეს ოჯახებში კაცია.

„ბანკიდან სესხი რომ გამოიტანო გჭირდება რაიმე აქტივის ჩადება, კერძოდ სახლის და სხვა რამის, მე სამწუხაროდ არაფერი არ მაქვს ისეთი ღირებული, რის საფუძველზეც შეიძლება სესხი მივიღო".

„როცა მივედით სესხზე კონსტანტაში, უნდა გაკეთებულიყო ჩემზე და მოითხოვეს ჩემი მეუღლე თავდებად, ოჯახის უფროსი უნდა ყოფილიყო თავდები, რადგან ქონება არის მასზე გაფორმებული. ქონებას რაც შეეხება მას არაფერი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მისი თავდებად ყოფნა დამჭირდა, რადგან ის მაინც ოჯახის უფროსია".

შუქრუთის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით სესხის გამოტანა პრობლემა არ არის, ძირითადად სესხის გამომტანი ის ოჯახის წევრია, რომელსაც ხელფასი აქვს. სესხის საჭიროება აქვთ, მაგრამ დიდი რისკის გამო უარს ამბობენ, მათი აზრით სესხს არ მისცემენ შემოსავლების სიმცირის გამო.

შესაბამისად, როდესაც რესპონდენტები ზოგადად აფასებდნენ ქალ მეწარმეთა სესხზე ხელმისაწვდომობას სესხის ოფიცრის სუბიექტური დამოკიდებულება თითქმის არც ერთხელ დასახელებულა. ხოლო როდესაც საკუთარ შემთხვევას აღწერდნენ ის ქალები, ვინც ვერ მიიღო დაფინანსება, მესამედზე მეტი მთავარ პრობლემას არა საკუთარ მდომარეობაში არამედ სესხის ოფიცრის დამოკიდებულებაში ხედავდა. ესეც რესპონდენტების სუბიექტურ დამოკიდებულებებზე მიუთითებს.

ლელიანის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან კრედიტის აღება მარტივია, თუმცა სესხის გამომტანი არის ის ოჯახის წევრი, რომელსაც ხელფასი ერიცხება ბანკში და როგორც წესი ოჯახში ასეთი არის კაცი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგიონში სესხის აღება არ ჭირს, რადგან კახეთი შედარებით შემოსავლიანი კუთხეა. რამოდენიმე მონაწილის თქმით ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ბანკს/ მიკროსაფინანსოს მიმართეს სესხის ასაღებად. იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ უძრავი ქონება საკუთრებაში, ბანკმა მოსთხოვა მეუღლის (კაცის) თავდებობა, რომელიც არის ოჯახის უფროსი და უძრავი ქონების მფლობელი.

„ძირითადად ოჯახში უძრავი ქონება არის მამაკაცზე გაფორმებული. ეს შეიძლება პრობლემა იყოს სესხის ასაღებად ქალისთვის დამოუკიდებლად. თუ ქალი გადაწყვეტს რამისთვის სესხის აღებას, მას ჯერ ამის ახსნა უწევს კაცისთვის ოჯახში და მისი თანხმობის გარეშე ვერ იღებს გადაწყვეტილებას."

ციხისჯვრის ფოკუს ჯგუფი:

„სესხებთან დაკავშირებით მსმენია. ყველა ბანკს, თითქმის გააჩნია ასეთი მომსახურება, მაგრამ თუ ბანკში გაქვს უკვე სესხი აღებული, მაშინ სხვა ბანკი სესხის გამოტანის ნებას არ გაძლევს, რადგან ერთი ბანკიდან უკვე სესხი გამოტანილი გაქვს. მე პირადად მქონდა ასეთი შემთხვევა, მინდოდა სესხის გამოტანა მესაქონლეობის გაფართოვების მიზნით, მაგრამ უარი განმიცხადეს, რადგან ჩემს ბიჭს მეუღლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ჰქონდა სხვა ბანკიდან უკვე აღებული სესხი. მიზეზი კი ის იყო რომ,

ოჯახს არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი რომ დაეფარა სესხი, აქედან გამომდინარე ვერ ვხვდები საიდან არის ეს შეღავათიანი სესხი, თუ ვერ ვახერხებ მეურნეობის წარმართვას და ელემენტარულად გაფართოებას".

„დედაჩემი არის პენსიონერი, მიაკითხა ლიბერთი ბანკს და როცა გაეცნო შეღავათიანი სესხის პირობებს უარი განაცხადა, რადგან უნდა ეხადა 3-4 წლის განმავლობაში და სესხი არ დაიფარებოდა, უბრალოდ ეს იქნებოდა პროცენტის დაფარვა. აქედან გამომდინარე, ეს იქნებოდა არამომგებიანი და აზრი არ ჰქონდა სესხის გამოტანას და ამის გამო უარი განაცხადა".

„როდესაც პენსიონერი იღებს ლიბერთი ბანკიდან კრედიტს და იღებს რამოდენიმე თვის პენსიას, პროცენტს ლიბერთი ბანკი იღებს ძალიან ბევრს. აქედან გამომდინარე, პენსიონერისთვის არანაირი შეღავათი არ არის. სამი დღის წინ ვიყავი ლიბერთი ბანკში, განვუცხადე, რომ შემოვიტანდი იმ თანხას რაც გატანილი მქონდა და მსურდა ამეღო უფრო მეტი თანხა, რათა გვეყიდა ოჯახში ავტომობილი. უბრალოდ არ აქვს აზრი, მირჩევნია ის თანხა დავიტოვო და ვინმე სხვისგან ვისესხო, თუნდაც პროცენტიანი, ვიდრე ლიბერთი ბანკიდან გამოვიტანო ისევ ახლიდან, იმიტომ რომ პირობები არის ძალიან ცუდი".

მაღაროსკარის ფოკუს ჯგუფი:

„ბანკში სესხი რომ აიღო და წაგებაზე წახვიდე ძალიან ცუდია. აქედან გამომდინარე, აღარ უნდა იმ მომხმარებელს, რომ გამოიტანოს სესხი ბანკიდან. რისკების ეშინია, რადგან 17%-იანი სესხის აღება არავის უნდა და 3%-იან სესხს კი არავინ მოგცემს. უნდა გყავდეს ნაცნობი!"

მაღაროსკარის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებში დამოკიდებულება ასეთია „აქ არავინ არ გასარგებლებს". სესხის პროცენტი მაღალია და ბიზნესის წამგებიანობის რისკიც ასევე მაღალი, ამის გამო თავს იკავებენ სესხის აღებისგან. არის შეხედულება, რომ „იაფ სესხს არ მოგცემენ ნაცნობი თუ არ გყავს", თუმცა თვითონ არ უცდიათ და სხვების გადმოცემით იციან. მაგრამ იციან ერთი ფაქტი, როდესაც იაფი სესხი გაიცა, ვისაც უსარგებლია სესხით გამოტანის პრობლემა არ შექმნიათ, თუმცა სესხის გამომტანი არის ის ოჯახის წევრი, რომელსაც ხელფასი ერიცხება ბანკში. ვისაც არ უცდია ეშინია, რომ ბინებს გაუყიდიან. სესხის საჭიროება აქვთ, მაგრამ დიდი რისკის გამო უარს ამბობენ. იყო მოსაზრება, რომ სესხს არ მისცემენ შემოსავლების სიმცირის გამო.

შუქრუთის ფოკუს ჯგუფის მონაწილის თქმით „ბიზნესის დასაწყებად მომცეს სესხი ტაო ბანკში, ოღონდ განსაზღვრული არ მქონდა რას ვაკეთებდი, არც მოუთხოვიათ, ისე დამიმტკიცეს სესხი. ბიზნესი ვერ დავიწყე და დღემდე ვერ ვახერხებ სესხის უკან დაბრუნებას".

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ოჯახებისათვის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია წარმოადგნს, განსაკუთრებით კი ლაგოდეხის, ყვარლისა და ასპინძის თემებისათვის. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ოჯახების უმეტესობა ყველაზე ხშირად ყურძენსა და ყველს ყიდის. მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის ფასი სხვა პროდუქტებთან შედარებით დაბალია (საშუალოდ 1 ლარი კილოგრამზე), ოჯახებისათვის ის ყველაზე მსხვილი შემოსავლის წყაროა. კიტრი და პომიდორი ასევე პერსპექტიული მიმართულებაა კახეთის რეგიონისათვის. დუშეთში ყველაზე მეტად ყველს ყიდიან, თუმცა შემოსავლების კუთხით თაფლის წარმოებაა ლიდერი.

მეთაფლეობას მცირემიწიანი დუშეთისათვის განვითარების სერიოზული პერსპექტივა გააჩნია.

ჭიათურაში ოჯახების საშუალოდ 10% იღებს შემოსავალს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან. ამის ძირითადი მიზეზი არის მცირემიწიანობა და მოწეულ მოსავალს ძირითადად თვითონვე მოიხმარენ. ყველი, სიმინდი და ლობიო - არის ის პროდუქტები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ყიდიან ოჯახები ამ მუნიციპალიტეტში.

ყველი არის ის ერთადერთი პროდუქტი, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე ხშირად გაყიდული პროდუქტების პირველ სამეულშია. ამასთან. ბორჯომსა და ასპინძაში ოჯახები ყველაზე მეტ შემოსავალს სწორედ ყველის რეალიზაციიდან იღებენ. თუმცა ამ მუნიციპალიტეტებში კარტოფილის მოყვანა ასევე აქტუალური საკითხია.

ცხრილი #3: ყველაზე ხშირად გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საშუალო წლიური რაოდენობა და მათი ფასები მუნიციპალიტეტების მიხედვით

პროდუქტი	ოჯახების რაოდენობა	საშუალო რაოდენობა ოჯახზე (კგ.)	საშუალო ფასი 1 კგ-ზე	საშუალო შემოსავალი ოჯახზე (ლარი)
ლაგოდეხი				
ყურძენი	144	3573	1,0	3465
კიტრი	94	1574	0,4	706
ყველი	85	254	6,5	1657
ყვარელი				
ყურძენი	33	3373	1,0	3291
ყველი	23	439	7,0	3074
პომიდორი	21	1081	0,6	679
დუშეთი				
ყველი	23	106	6,2	654
თაფლი	14	88	12,1	1066
ხილი	10	76	1,5	114
ჭიათურა				
ყველი	18	114	6,0	687
სიმინდი	12	340	0,5	170
ლობიო	8	58	4,1	238
ბორჯომი				
კარტოფილი	46	287	0,7	201
ყველი	18	161	6,0	969
რძე	12	344	1,2	412
ასპინძა				
კარტოფილი	136	1509	0,6	859
ყველი	49	225	6,0	1352
კაკალი	33	72	4,0	288

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ასევე შესწავლილ იქნა გაყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. გამოვლინდა, რომ გასაყიდი პროდუქციის ფასისა და რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას ოჯახების 51%-ში მამაკაცები იღებენ. შედარებით მეტად არიან ქალები გადაწყვეტილების მიმღები პირები ბორჯომსა (31%) და ყვარელში

(27%). გამოკვლეული ოჯახების საშუალოდ 26% კი გასაყიდი პროდუქციის რაოდენობასა და ფასს ერთობლივად ადგენენ.

შინამეურნეობები პროდუქციას ყველა მუნიციპალიტეტში ძირითადად ადგილზე ყიდიან - საშუალოდ 63%. გაყიდვის ამ მეთოდით რეალურად ოჯახები შესაძლო მინიმალურ შემოსავალს იღებენ. რესპონდენტების 24%-კი როგორც წესი პროდუქციას თვითონ ყიდის აგრალურ ბაზარში. ამასთან, საინტერესოა, რომ პოდუქციის ფიზიკურად გაყიდვას, უმეტესად მამაკაცები ახორციელებენ - 49%. იგივე მონაცემი ქალებისათვის 27%-ს შეადგენს, ხოლო ერთობლივად მოსავლის გაყიდვა ოჯახების 19%-ში ხდება.

დიაგრამა #16: გასაყიდი პროდუქციის რაოდენობისა და ფასის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირები



მაღაროსკარის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, ოჯახში როლები გადანაწილებულია, ქალის საქმე არის: ძროხის მოწველა, ყველის ამოყვანა, ოჯახი, ბოსტანი, ქათამი. ქალის საქმე უფრო მეტია, თუმცა კაცის საქმე უფრო მძიმე. ოჯახში შემომტანად თანაბრად დასახელდა ქალი და კაცი. ოჯახში მოყვანილი პროდუქტების გაყიდვის რაოდენობაზე გადაწყვეტილებას უმეტესად ქალები იღებენ და ბაზარშიც უმეტესად ქალი მიდის. გასაყიდ ფასს ბაზარი არეგულირებს – „დაბალი ფასის პირობებში არ ვყიდით პროდუქციას და ადგილზე ვიღებთ გადაწყვეტილებას“. მიღებული შემოსავლის გადანაწილება ხდება ოჯახის წევრებთან შეთანხმებით.

ციხისჯვარის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ სამეწარმეო საქმიანობაში ქალები აქტიურობენ, პროდუქტების გაყიდვებზე პასუხისმგებელია ქალი, ხოლო გასაყიდი რაოდენობა ოჯახთან არის შეთანხმებული. ოჯახში საქმიანობები მეტ-ნაკლებად გადანაწილებულია თანაბრად.

ტოლოშშიც პროდუქტების გაყიდვების რაოდენობა ოჯახთან არის შეთანხმებული. უმეტეს შემთხვევაში გასაყიდ ფასს ბაზარი არეგულირებს, თუმცა გარკვეული ფასის ქვევით პროდუქტს არ ყიდიან. არის შემთხვევები, როცა პროდუქტი თვითმოხმარებისთვისაც არ ყოფნით, მაგრამ უწევთ გადაცვლა სხვა პროდუქტზე - ყველზე, პომიდორზე ან შაქარზე.

შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით აუცილებლია ბაზრებზე წვდომის გაზრდა. საწარმოო ღირებულებათა ჯაჭვში ეს ოჯახები საწყის რგოლს წარმოადგენენ, თუმცა

ვერ ახერხებენ ამ ჯაჭვის ზედა რგოლებზე წვდომას და მეტწილად არიან დამოკიდებულები იმ მებითუმეებზე, რომლებიც მათი სახლის კართან ჩაივლიან. სამეწარმეო უნარ-ჩვევების ამაღლებითა და დამატებით მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით შესაძლებელი გახდება ოჯახების შემოსავლების ზრდა.

მიღებული სურათი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ინიციტივებისა თუ სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისას აუცილებელია გამოვლინდეს და გათვალისიწნებულ იქნას პრიორიტეტული მიმართულებები მუნიციპალიტეტის და ხშირ შემთხვევაში თემის დონეზეც კი.

ქალთა ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები

ქალთა ეკონომიკური განვითარება დღევანდელი თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია. საქართველოში ეს საკითხი დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები პირებისათვის. მძიმე სოციალური ფონი, დაბალი ხელმისაწვდომობა ფინანსებზე - განსაკუთრებით საქმიანობის დაწყებისათვის, სკოლანდელი აღზრდის დაწესებულელებების მწირი რაოდენობა, სამეწარმეო განათლების და უნარების გაზრდის შეზღუდული შესაძლებლობა კულტურულ დამოკიდებულებებთან და ტრანდიციულ კლიშეებთან - „თუ რა არის და რა არა ქალის საქმე " - ერთად თითქმის წარმოუდგენელს ქმნის სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკურად გააქტიურებისა და განვითარების შესაძლებლობებს. ეს უდიდესი გამოწვევა საკმაოდ კომპლექსურია და შესაბამისად მიოთხოვს კომპლექსურ და მრავალმხრივ ინტენსიურ მუშაობას.

წარმოდგენილი საკითხის თვისებრივი ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აუცილებელია აქტიური მუშაობა როგორც ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის ასევე მათი და მათი ოჯახების ცნობიერების შეცვლისათვის.

ლელიანის ფოკუს ჯგუფის მიერ ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების დაბრკოლებად ოჯახი და ფინანსების სიმწირე დასახელდა.

„თუ ქალი არ არის აქტიური ამ შემთხვევაში მიზეზი არის ოჯახი და ფინანსები. ოჯახში დამოუკიდებელ ქალებს ხშირად ცუდად აღიქვამენ, რადგან ეს მამაკაცის თავმოყვარეობას ლახავს და ქალს ხელს არ უწყობს. მამაკაცები ხშირ შემთხვევაში აფერხებენ ქალს, მაგრამ არიან დამოუკიდებელი ქალებიც, რომლებსაც აქვთ იმის უნარი, რომ განახორციელონ თავიანთი გეგმა, რა თქმა უნდა ფინანსები თუ გააჩნიათ, რაც ხშირ შემთხვევაში არ აქვთ".

,,ჩემ შემთხვევაში არ მიცდია ბიზნესის დაწყება, რადგან არ მქონია არანაირი ბიზნესიდეა რაიმე გამეკეთებინა, მაგრამ არ ვიცი როგორი დამოკიდებულება ექნებოდა ჩემ მეუღლეს ამასთან დაკავშირებით. მეეჭვება რომ თანახმა ყოფილიყო". - აცხადებს მონაწილე.

ტოლოშის ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალები საოჯახო მეურნეობის მფლობელობას დიდი სიამოვნებით დათანხმდებიან. ამის სურვილი დიდი აქვთ თუმცა ფინანსების ნაკლებობა აფერხებთ. ასევე დამაბრკოლებელ ფაქტორებად დასახელდა ცუდი ჯანმრთელობა, მიწების სიმწირე, მოსავლელი ბავშვები და საოჯახო საქმეები.

საქმიანობა, რისი წამოწყების სურვილიც აქვთ, უკავშირდება მესაქონლეობას, კერძოდ რძის პროდუქტების დამზადებას და რძის მიმღები პუნქტის შექმნას. ასევე სათბურს და მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმას. ამ საქმის წამოწყების შემთხვევაში ოჯახიდან ყველანაირი ხელშეწყობა ექნებათ. ფიქრობენ, რომ ქალი უკეთესი იქნება შემდეგ სფეროებში: კულინარია, მეფრინველეობა (კვერცხი და ხორცი), მესაქონლეობა. მიწა კაცის მიმართულებად მიაჩნიათ და არა ქალის.

მაღაროსკარის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ იმისათვის, რომ ქალი იყოს მეწარმე ის უნდა იყოს პრინციპული, შრომისმოყვარე და იცოდეს რას აკეთებს, ხალხთან ურთიერთობა უნდა შეეძლოს, იყოს მიზანდასხული, მაგალითის მიმცემი სხვებისთვის და ნებისყოფა უნდა ჰქონდეს. მეწარმეობის სურვილი გამოითქვა, რადგან ჰქონდეთ მეტი შემოსავალი, დასაქმდნენ და იყვნენ დაკავებული.

„დასახლებაში მეწარმეობის გარდა სხვა შემოსავლის საშუალება არ არის და დაქირავებითი შრომა არ ფასდება". „კარგი მეწარმე რომ იყოს, ქალს სჭირდება დახმარება ფინანსებით, გვერდში დგომა და იაფი სესხები. თუ საჭირო გახდება ოჯახი გვერდში დაუდგება ყველანაირად".

ფიქრობენ, რომ ქალი უკეთესი იქნებოდა სოფლად მესაქონლეობაში, რადგან ძირითადად ისინი არიან ჩართულნი პროდუქციის შექმნაში. თუმცა ბიზნესიდეები მრავალმხრივი აქვთ, ეს არის: ხელსაქმე (ქსოვა და კერვა), სურსათის მაღაზია, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, ხის საამქრო (სადაც დაამზადებენ მაგიდებს და სკამებს). ვისაც ბიზნესი აქვს გააფართოვებდა, მაგალითად, ხის საამქროს.

ციხისჯვარის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები საოჯახო მეურნეობის მფლობელობას დიდი სიამოვნებით დათანხმდებიან. თუმცა ფინანსების ნაკლებობა აფერხებთ. ასევე დამაბრკოლებელ ფაქტორებად დასახელდა მიწების სიმწირე, საოჯახო საქმეები და ოჯახი. საქმიანობა, რისი წამოწყების სურვილიც აქვთ, უკავშირდება საცხობის გახსნას, სადაც გამოცხვება სხვადასხვა სახის ფუნთუშეული, ხაჭაპური და ა.შ.

იმისათვის, რომ აღნიშნულ სოფლებში ქალი ჩამოყალიბდეს წარმატებულ მეწარმედ, დასახელდა თვისებები: განათლება, სურვილი, რისკზე წასვლის უნარი, კარგი ურთიერთობები და საქმის ცოდნა. მეწარმეობის უპირატესობად დასახელდა ფინანსები და შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, რაც გახდის ოჯახს უფრო ძლიერს და შეძლებულს.

შუქრუთის ფოკუს ჯგუფის მონაწილე „იმისათვის, რომ დაიწყო/განავითაროო საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა, აუცილებელია, რომ იყო მიზანდასახული. ასევე ნებისყოფა უნდა გააჩნდეს ქალს, რა თქმა უნდა, დროც უნდა ჰქონდეს ამის, რადგან ოჯახში არის ისეთი სიტუაცია, ხანდახან რომ ადამიანს დრო არ აქვს იმისა რომ თუნდაც სამეწარმეო საქმიანობა წამოიწყოს და განავითაროს. ჩემი აზრით ეს არის ამის მიზეზი".

შუქრუთში ქალის საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად დასახელდა ოჯახი, იმიტომ რომ სოფლად მცხოვრებ ქალს, რომელსაც ჰყავს მეუღლე და შვილები ვერ შეძლებს აწარმოოს ბიზნესი. ასევე გაჟღერდა მოსაზრება, რომ ქალი უნდა იყოს რისკიანი, მიზანდასახული და წინააღმდეგობის უნარი უნდა ჰქონდეს, რომ შეძლოს იმ ბარიერების გადალახვა, რომელიც შეხვდება ოჯახში.

თვისებრივი კვლევიდან ჩანს, რომ ქალებს შინაგანად აქვთ სურვილი ჩაერთონ სამეწარმეო საქმიანობაში, თუმცა ამისათვის რიგში ოჯახის და განსაკუთრებით მეუღლის „ნებართვა" აუცილებელი წინაპირობაა.

რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სამეწარმეო საქმიანობაში გამოკვლეული ოჯახებიდან საშუალოდ 19%-ში მხოლოდ ქალები არიან ჩართულები, 23%-ში მხოლოდ მამაკაცები, ხოლო ნახევარზე მეტში - 53% ერთობლივად ეწევიან საქმიანობას. თითქმის ანალოგიური პროპორციით განაწილდა პასუხები კითხვაზე: თქვენს ოჯახში ვინ განკარგავს, როგორც წესი, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს (ქალები - 17%; კაცები - 24%, ორივე ერთად 55%). თუმცა საკვლევი თემების მიხედვით სურათი მცირედით განსხავვებულია, მაგალითად ლაგოდეხში ქალები შედარებით პასიურები არიან, და ოჯახების 38%-ში მხოლოდ მამაკაცია ჩართული სამეწარმეო საქმიანობაში.

დიაგრამა#17: ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობა მუნიციპალიტეტების მიხედით



სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური განვითარება რთული, გამოწვევებით აღსავსე და გძრელი გზაა. ტრადიციული დამოკიდებულებების შეცვლა, ქალთა მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად ამ გზის გავლისათვის საჭირო მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას აქვს სურვილი მიიღოს საგრანტო დაფინანსება სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისათვის, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად ლაგოდეხსა და ჭიათურაში ასეთი სურვილი რესპონდენტების მხოლოდ 45%-მა გამოხატა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალთა ნაწილი თეორიულ დონეზეც კი არ განიხილავს რაიმე ტიპის ეკონომიკურ აქტივობაში მათ ჩართულობას და ურჩევნიათ ინერტულად განაგრძონ თავიანთი ყოფა.

დიაგრამა #18: საგრანტო დაფინანსების მიღების სურვილი



სურათი კარდინალურად შეიცვალა, როდესაც კითხვა უკვე საფინანსო ორგანიზაციიდან სესხის გამოტანას შეეხეო, აქ რესპონდენტების მხოლოდ 14%-მა განაცხადა რომ გეგმავს სესხის გამოტანას. საგულისხმოა, რომ ყვარელში შედარებით მეტი - ოჯახების 38% აპირებს დამატებითი საკრედიტო თანხების მოზიდვას.

დიაგრამა #19: გეგმავთ თუ არა უახლოესი 1 წლის განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის მიმართოთ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას სესხის მისაღებად



ლოგიკურიცაა, რომ რესპონდენტების უმეტესობა თავს არიდებს ფინანსური ვალდებულებების აღებას, რადგან ისინი ხედავენ პრინციპში რეალურ რისკს, რომ ვერ შეძლებენ სესხის დაფარვას მწირი შემოსავლების პირობებში. ამასთან, გასათვალსიწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობა ზოგადად მაღალრისკიანი დარგია და დამოკიდებულია სეზონის ამინდებზე, ნებისმიერი ბუნებრივი კატასტროფა, განსკასუთრებით კი კახეთში, პრინციპში აზარალებს ოჯახს. ამ მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნებოდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზე დაზღვევის ხარჯების დაფარვა ოჯახებს ძალიან გაუჭირდებათ. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ოჯახებისათვის სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და განვითარების ყველაზე რეალისტური მიდგომა გრანტებსა და იაფ კრედიტებში მდგომარეობს.

ამასთან ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მხრიდან დასახელდა დამატებითი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობდა მათი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას, მათ შორის: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, წყლითა და გაზით უზრუნველყოფა, ირიგაციის სისტემების გამართვა და ა.შ.

შუქრუთის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით იმისათვის, რომ ქალმა დაიწყოს / განავითაროს საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა აუცილებელია ხელშეწყობა სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, კერძოდ: გზების შეკეთება, გაზის შეყვანა და სასმელი და სარწყავი წყლის მოგვარება. მოსახლეობას წყალი მიეწოდება გრაფიკით (2 საათით). აქედან გამომდინარე, მათი აზრით თუ ეს საკითხები მოგვარდება, სოფლად მცხოვრები ქალები შეძლებენ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას.

„ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი და აუცილებელიც არის, რომ ხელი შეგვიწყონ. თუნდაც გაზი შემოგვიყვანონ, ასევე გზა არ არის, თუ არ გაკეთდა გზა ვერაფერს ვერ გააკეთებ და ვერც განვითარდება სოფელი. როცა მოგვარდება ეს ყველაფერი მხოლოდ შემდგომ შევძლებთ რამეზე ფიქრს. ჩვენ ვახსენეთ მესაქონლეობა, საქონელს იმდენი რამ სჭირდება რომ მიხედო, თუნდაც ის წყალი ღამის ორ საათზე რომ მოდის, თუ არ გავავსეთ წყლით ჭურჭელი, მოსახლეობა ვერაფერს გააკეთებს.”

ზემოთხსენებული გამოწვევების გადაჭრის პარალელურად სამეწარმეო შესაძლებლობების სრულყოფილი და ეფექტიანი რეალიზაციისათვის აუცილებელია პოტენციური ბენეფიციარების სათანადო ცოდნის დონითა და უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაშიც კი თუ პირი საკმაოდ მოტივირებულია, აქვს კარგი ბიზნესიდეაც და შესამაბისი დაფინასებაც, შესაძლოა მაინც ვერ შეძლოს სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანი მართვა თუ არ იქნება შეიარაღებული საბაზისო ცოდნით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების საშუალოდ 20%-ს აქვს მონაწილეობა მიღებული ამა თუ იმ სახის საგანმანათლებლო ღონისძიებებში, ხოლო 52%-მა კი გამოთქვა სურვილი გაიარონ სხვადასხვა კურსები, რომლებიც დაეხმარებოდათ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. დანარჩენ პირებს კი არ სურთ ანდა ვერ ათვითცნობიერებენ დამატებითი ცოდნის მიღებისა და უნარების ზრდის საჭიროებას. მათ შორის ვისაც სურს ტრენინგების გავლა, ნახევარზე მეტი მზადაა გაიაროს მეწარმეობის კურსი (56%), 27%-მა ბუღალტრული ჩანაწერების წარმოების შესწავლის სურვილი გამოთქვა.

დიაგრამა #20: რა სახის ტრენინგებს გაივლიდით?



კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზაციისათვის უპირობოდ საჭიროა რიგი ღონისძიების აქტიური გატარება როგორც საჯარო, ასევე არასამთავრობო სექტორის მხრიდან. აუცილებელია ქალების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული ინიციატივების განხორციელება, განსაკუთრებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, სამეწარმეო იდეების ფორმირების და დახვეწის, ასევე ცონდისა და უნარების გაზრდის მიმართულებებით.

ძირითადი მიგნებები

- გამოკვლეული თემების შინამეურნეობები საშუალოდ 3,7 წევრიანი ოჯახებისაგან შედგება. დუშეთში, ჭიათურასა და ასპინძაში ყველაზე დიდი წონა 2-3 წევრიან ოჯახებზე მოდის; ხოლო დანარჩენ ერთეულებში შინამეურნეობების უმეტესობა 4-5 წევრიანია. სულ, შესწავლილ 1500 ოჯახში 5431 პირი ცხოვრობს, მათი 53% ქალია, დანარჩენი კი - კაცი. ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მონაცემები თითქმის არ განსხვავდება და ყველგან ქალთა რაოდენობა მეტია მამაკაცებისაზე. ასევე, თითქმის მსგავსია ბავშვთა წილი, შესწავლილ შინამეურნეობებში მცოხვრებ პირთა საშუალოდ 20% ბავშვია.
- გამოკითხული რესპონდენტების 67%-მა კითხვაზე გაქვთ თუ არა სურვილი დასაქმდეთ დადებითი პასუხი გასცა, ხოლო შესაბამისად 33%-ს კი არ სურს მუშაობის დაწყება. ისინი, ვინც მზად არიან შეასრულონ რაიმე ტიპის სამუშაო, თანახმანი არიან ისეთ სამსახურებზე, როგორებიცაა: საოფისე სამუშაო (27%); აღმზრდელი (24%); ნებისმიერი ფიზიკური სამუშაო (22%); დამლაგებელი (21%) და ა.შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტები სასურველი სამუშაო ადგილის დასახელებისას ეყრდნობიან, ერთის მხრივ, საკუთარ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას და, მეორეს მხრივ, იმყოფებიან ტრადიციული დამოკიდებულებების გავლენის ქვეშ თუ რა ტიპის სამუშაო შეიძლება შეასრულოს ქალმა. მაგალითად რესპონდენტების მხოლოდ 0,5% არის თანახმა, რომ იმუშაოს მიმტანად.
- შესწავლილი ოჯახები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო პროგრამებზე და პენსიებზე. ბენეფიციართა ყველაზე დიდი რაოდენობა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამას ჰყავს. შინამეურნეობების საშუალოდ 22% იღებს ფულად დახმრებას - საარსებო შემწეობას. ასევე, ოჯახების 48%-ში არის ერთი პენსიონერი მაინც.
- რესპონდენტთა ნახევარზე მეტს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა რაიმე ტიპის საჯარო შეხვედრაში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ასპინძა, ჭიათურა და ყვარელი. ყველაზე დიდი წილი მოდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, მას მოსდევს არასამთავრობო სექტორის მიერ ჩატარებული ღონისძიებები. ჭიათურასა და ასპინძაში რესპონდენტების 75% და 68% შესაბამისად ერთხელ მაინც დასწრებია ადგილობრივი თვითმმართველობის შეხვედრას.
- რესპონდენტების მხოლოდ 8,4%-მა დაადასტურა რომ მათ აქვთ რაიმე ტიპის ურთიერთობა არასამთავრობო სექტორთან. საშუალოზე ოდნავ მეტი შედეგი აჩვენა ლაგოდეხის (14%), ყვარელის (10%), ასპინძის (10%) თემებმა. თუმცა ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასამთავრობო სექტორი სოფლებში საკმაოდ პასიურად მუშაობს და ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი ოჯახების 50%-ისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს პენსია წარმოადგნეს, 22% იღებს ფულად სოციალურ შემწეობას, 48% ყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მცირე ბიზნესიდან შემოსავალს კი მხოლოდ 10% იღებს.
- გამოკითხული რესპონდენტების 11%-ს საერთოდ არ დაუმუშავებია მიწა გასულ წელს. საგულისხმოა, რომ ბორჯომსა და ჭიათურაში აღნიშნული მაჩვენებელი აღწევს 17%-ს და 15%-ს შესაბამისად.
- ლაგოდეხსა და ყვარელში შესწავლილ თემებში რესპონდენტების 90%-ზე მეტი ყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ამ თემებში ძირითადად 1ჰა-ზე მეტი ფართობი მიწა

დაამუშავეს. ასპინძაში კი რესპონდენტების 92% ყიდის შინაურ ცხოველებს, ფრინველებს ანდა რძის პროდუქტებს. რაც შეეხება დანარჩენ ლოკაციებს, აქ ასეთი სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლებს მხოლოდ რესპონდენტთა საშუალოდ 16% იღებს. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოებიდან შემოსავლების მიღება პირდაპირ დამოკიდებულია ხელმისაწვდომი სავარგულების რაოდენობასა და ნაყოფიერებაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესის განვითარების საჭიროება ყველა ლოკაციისათვის ერთნაირად მწვავეა. იმ თემებში, სადაც ხდება პირველადი წარმოების შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზაცია გადამამუშავებელი მიმართულებების გაძლიერება და გასაღების ბაზრებზე წვდომის გაზრდა შესაძლებელს გახდის შინამეურნეობებისათვის სულ ცოტა შემოსავლების გაორმაგებას. ხოლო დანარჩენი თემებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესის განვითარებას არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებებით, მათ შორის შეიძლება იყოს: მომსახურების სხვადასხვა სფეროები, ვაჭრობა, ტურიზმი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა - როგორებიცაა მინერალური წყლები, ტყითსარგებლობა, სამონადირეო მეურნეობები; სახალხო რეწვა და ა.შ.

- ოჯახები ლაგოდეხში, ყვარელსა და ასპინძაში შემოსავალს იღებენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან - მიწათმოქმედება, მეცხოველეობა -მეფრინველეობა, რძის პროდუქტების წარმოება. საკუთრი მცირე ბიზნესი - მაღაზია, სახელოსნო, სამკერვალო აქვს რესპონდენტების მხოლოდ 10%-ს. ამასთან, გასათვალისიწინებელია, რომ მეთევზეობა შეიძლება იყოს საკმაოდ პერსპექტიული მიმართულება, თუმცა კვლევის შედეგად გამოვლინდა ასეთი საქმიანობის მხოლოდ 18 შემთხვევა, მათგან დუშეთში 6 ოჯახი ეწევა თევზის მოშენებას, ლაგოდეხსა და ბორჯომში კი ოთხ-ოთხი. რაც შეეხება ჭიათურას, დუშეთსა და ბორჯომს აქ საკმაოდ მცირე დოზით ეწევიან რაიმე ტიპის სამეურნეო საქმნიანობას.
- კითხვაზე, ზოგადად ქალი მეწარმისათვის ხელმისაწვდომია თუ არა სესხის გამოტანა ბანკიდან ანდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან, რესპონდენტების 56%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 26%-ის (393 რესპონდენტი) აზრით ქალი მეწარმისათვის სესხის აღება არაა ხელმისაწვდომი. რესპონდენტებმა, რომლებიც მიიჩნევენ რომ ქალისათვის სესხის აღება არაა ხელმისაწვდომი, დაასახელეს ამის ძირითადი მიზეზები: არ აქვს შემოსავლის სათანადო წყაროები -65%; არ აქვს საკუთრებაში ქონება (სახლი, მიწის ფართობი, და ა.შ) - 38%; სესხის ვერ დაფარვის რისკი - 49%. საგულისხმოა, რომ მხოლოდ მხოლოდ 7 რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მიზეზი შეიძლება იყოს სუბიექტური შეფასება სესხის ოფიცრის მხრიდან.
- რესპონდენტების ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილების შესწავლის მიზნით, დადგინდა რომ მათ 28%-ს საერთოდ არ მიუმართავს საფინანსო ორგანიზაციისათვის სესხის მისაღებად (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის სესხი, მათ შორის სამომსხმარებლო); 18%-მა მიმართა და ვერ მიიღო, ხოლო შესაბამისად 54%-მა გამოიტანა სესხი. საინტერესოა, რომ ყვარელსა და ლაგოდეხში სესხის მიღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (საშუალოდ 79%).
- ლაგოდეხსა და ყვარელში ოჯახების უმეტესობა ყველაზე ხშირად ყურძენსა და ყველს ყიდის. მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის ფასი სხვა პროდუქტებთან შედარებით დაბალია, ოჯახებისათვის ის ყველაზე მსხვილი შემოსავლის წყაროა. კიტრი და პომიდორი ასევე

პერსპექტიული მიმართულებაა კახეთის რეგიონისათვის. დუშეთში ყველაზე მეტად ყველს ყიდიან, თუმცა შემოსავლების კუთხით თაფლის წარმოებაა ლიდერი. მეთაფლეობას მცირემიწიანი დუშეთისათვის განვითარების სერიოზული პერსპექტივა გააჩნია.

ჭიათურაში ოჯახების საშუალოდ 10% იღებს შემოსავალს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან. ამის ძირითადი მიზეზი არის მცირემიწიანობა და მოწეულ მოსავალს ძირითადად თვითონვე მოიხმარენ. ყველი, სიმინდი და ლობიო - არის ის პროდუქტები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ყიდიან ეს ოჯახები.

ყველი არის ის ერთადერთი პროდუქტი რომელიც ყველა მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე ხშირად გაყიდული პროდუქტების პირველ სამეულშია. ამასთან, ბორჯომსა და ასპინძაში ოჯახები ყველაზე მეტ შემოსავალს სწორედ ყველის რეალიზაციიდან იღებენ. თუმცა ამ მუნიციპალიტეტებში კარტოფილის მოყვანა ასევე აქტუალური საკითხია.

- გამოვლინდა, რომ გასაყიდი პროდუქციის ფასისა და რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას ოჯახების 51%-ში მამაკაცები იღებენ. შედარებით მეტად არიან ქალები გადაწყვეტილების მიმღები პირები ბორჯომსა (31%) და ყვარელში (27%). გამოკვლეული ოჯახების საშუალოდ 26% კი გასაყიდი პროდუქციის რაოდენობასა და ფასს ერთობლივად ადგენს. შინამეურნეობები პროდუქციას ყველა მუნიციპალიტეტში ძირითადად ადგილზე ყიდიან - საშუალოდ 63%. გაყიდვის ამ მეთოდით რეალურად ოჯახები შესაძლო მინიმალურ შემოსავალს იღებენ. რესპონდენტების 24% კი, როგორც წესი, პროდუქციას თვითონ ყიდის აგრარულ ბაზარში. ამასთან, საინტერესოა, რომ პროდუქციის ფიზიკურად გაყიდვას, უმეტესად მამაკაცები ახორციელებენ - 49%. იგივე მონაცემი ქალებისათვის 27%-ს შეადგენს, ხოლო ერთობლივად მოსავლის გაყიდვა ოჯახების 19%-ში ხდება.
- შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით აუცილებელია ბაზრებზე წვდომის გაზრდა. საწარმოო ღირებულებათა ჯაჭვში ეს ოჯახები საწყის რგოლს წარმოადგენენ, თუმცა ვერ ახერხებენ ამ ჯაჭვის ზედა რგოლებზე წვდომას და მეტწილად არიან დამოკიდებულები იმ მებითუმეებზე, რომლებიც მათი სახლის კართან ჩაივლიან. მიღებული სურათი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნო ხასიათის ინიციტივებისა თუ სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისას აუცილებელია გამოვლინდეს და გათვალისიწინებულ იქნას პრიორიტეტული მიმართულებები მუნიციპალიტეტის და ხშირ შემთხვევაში თემის დონეზეც კი.
- რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სამეწარმეო საქმიანობაში გამოკვლეული ოჯახებიდან საშუალოდ 19%-ში მხოლოდ ქალები არიან ჩართულები, 23%-ში მხოლოდ მამაკაცები, ხოლო ნეხევარზე მეტში - 53%-ში ერთობლივად ეწევიან საქმიანობას. თითქმის ანალოგიური პროპორციით განაწილდა პასუხები კითხვაზე: თქვენს ოჯახში ვინ განკარგავს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს (ქალები - 17%; კაცები - 24%, ორივე ერთად 55%). თუმცა საკვლევი თემების მიხედვით სურათი მცირედით განსხავვებულია, მაგალითად, ლაგოდეხში ქალები შედარებით პასიურები არიან, და ოჯახების 38%-ში მხოლოდ მამაკაცია ჩართული სამეწარმეო საქმიანობაში.
- რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას აქვს სურვილი მიიღოს საგრანტო დაფინანსება სამეწარმეო საქმიანობისთვის, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად ლაგოდეხსა და ჭიათურაში ასეთი სურვილი რესპონდენტების მხოლოდ 45%-მა გამოხატა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალთა ნაწილი თეორიულ დონეზეც კი არ განიხილავს

რაიმე ტიპის ეკონომიკურ აქტივობაში მათ ჩართულობას და ურჩევნიათ ინერტულად განაგრძონ თავიანთი ყოფა. სურათი კარდინალურად შეიცვალა, როდესაც კითხვა უკვე საფინანსო ორგანიზაციიდან სესხის გამოტანას შეეხო, აქ რესპონდენტების მხოლოდ 14%-მა განაცხადა, რომ გეგმავს სესხის გამოტანას. საგულისხმოა, რომ ყვარელში შედარებით მეტმა - ოჯახების 38% აპირებს დამატებითი საკრედიტო თანხების მოზიდვას.

- თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა ის დამატებითი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობდა ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას, მათ შორის: ინფრასტრუტურის გაუმჯობესება, წყლითა და გაზით უზრუნველყოფა, ირიგაციის სისტემების გამართვა და ა.შ.
- კვლების შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების საშუალოდ 20%-ს აქვს მონაწილეობა მიღებული ამა თუ იმ სახის საგანმანათლებლო ღონისძიებებში, ხოლო 52%-მა კი გამოთქვა სურვილი გაიარონ სხვადასხვა კურსები, რომლებიც დაეხმარებოდათ სამეწარმეო საქმიანობის გახორციელებაში. დანარჩენ პირებს კი არ სურთ ანდა ვერ ათვითცნობიერებენ დამატებითი ცოდნის მიღებისა და უნარების ზრდის საჭიროებას. მათ შორის ვისაც სურს ტრენინგების გავლა, ნახევარზე მეტი მზადაა გაიაროს მეწარმეობის კურსი (56%), 27%-მა ბუღალტრული ჩანაწერების წარმოების შესწავლის სურვილი გამოთქვა.
- სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური განვითარება რთული, გამოწვევებით აღსავსე და გძრელი გზაა. ტრადიციული დამოკიდებულებების შეცვლა, ქალთა მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად ამ გზის გავლისათვის საჭირო მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. აუცილებლია ქალების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული ინიციატივების განხორციელება, განსაკუთრებით ფინანსებზე ხელმისაწავდომობის გაზრდის, სამეწარმეო იდეების ფორმირების და დახვეწის, ასევე ცოდნისა და უნარების გაზრდის მიმართულებებით.

ანგარიშზე მუშაობდნენ

ანნა ქათამიძე

კვლევის კოორდინატორი

მადონა კოტია

სტატისტიკოსი

თენგიზ ჯოხაძე

სტილისტ-რედაქტორი

ქეთევან ფაცაცია